



„როცა დაღვება განკითხვის უამი, / გაწყვეტილ გზების, მეწამულ
ბინდის, / შემოიტანენ უფალთან ჯამით / ჩემს სულს და ცრემლებს,
/ გულსა და სინდის“. ლამის ოთხი ათეული წლის წინ, მანქანაზე
ბეჭდვას რომ ვსწავლობდი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, ეს კუპლეტი დამიტეჭდავს მასწავლებლისთვის საჩვენებელ პირველ
ტექსტად. ახლახან ვნახე – აქამდე შემომინასავს გაყითლებული
თამაზის ფურცელი. იქვე „ყინწვის“ მიმბრეჭდავს გამოუცდელი
და გაუბედავი თითებით. გამინსარდა, ორივე ლექსი რომ აურჩევია
„ოქროს ფონდში“ ჩასწერად ბატონ თამაზს. ასე 15-16 წლის წინ
კი ერთი ღია წერილით მიუაღვეს ჭილაძებს. შაბათი იყო. შინ
მარტო ბატონი თამაზი დამსვდა. ალბათ ორმოცი წუთი მაინც
დავყავი იქ. რას ვაკეთებდი? უფრო საინტერესოა, მასპინძელი რას
აკეთებდა – ძმობის ვაკეთილს ატარებდა, ძმისთვის თავდადებისა
და სიყვარულის გაკვეთილს. და კიდევ, ახლა რომ ვცდილობ
ლიტერატურული პორტრეტის ესკიზი მაინც მოვსაზო, ამის

საშუალებას ის „სეანსიც“ მაძლევს, მაშინ რომ შედგა. ის მცირე დრო ამასაც ეყო თურმე. გუმურებ
აგერ წლების მერე ჩემს გულში აღბეჭდილ პორტრეტს, რომელზეც პოეტი ძალიან ჰგავს თავის ლექსებს
– ღრუბლებში თავშერგულებს, ჩოხა-ახალუხივით მოხდენილებს, ენძელებივით აწვდენილებს, იმათ ნატიფ
სტრიქონებს, მჭვირებალ აზრებს, დაკრეფილ სიტყვებს...

და დანანებით ვფიქრობ: ზღვასავით დრო გასულა.

თუმცა მერე რა! მოლოცვის, დალოცვისა და ლოცვის დრო მოსულა.¹ იხარეთ, ბატონო თამაზ!

მრავალუამიერ!

მამა ადამი

თამაზ ჭილაძის ლექსები მომავალი წიგნიდან

”ბორანი“

* * *

ეშველება და ინათებს მალე...
ჭაღარავდება ელამი მთვარე...
ვიღაც იძახის თუ შველას ითხოვს,
ხმა კი არ ისმის, ანათებს თითქოს,
როგორც ვარსკვლავი, ცას მოწყვეტილი
და უძილობის თვალღია სიზმრებს
უზით შუქურას მრავალწერტილი...

* * *

დიდი ხნის წინათ ნანახ სიზმარს ვიხსენებ ხშირად,
თუ თავს მახსენებს, ელვასავით გამივლის ხოლმე,
უსიამოვნო თანამგზავრად მექცა თანდათან,
რომელსაც ცდილობ დაემალო. მაგრამ ამაოდ.

¹ წინამდებარე აღმანახში ვბეჭდავთ ემზარ კვიტაიშვილის წერილს თამაზ ჭილაძეზე სათაურით „ბჯდიური ბილეთი“ (იხ. გვ. 196).

დღემდე ვერაფრით ვერ ავხსენი ჩემი სიზმარი -
ალისფერ ღრუბელს, ვით ომის ღროს გაძეგილ ვაგონს
უცხო მხარეში გადაჭრონდა მთელი ქვეყანა,
მე კი მივდევდი,
მივდევდი და
ვერ ვეწეოდი,
მარტო ვრჩებოდი ისევ ამ ჩემ სიმარტოვეში...

* * *

ვინახავ პრაღის ტრამვაის ბილეთს,
ვით სიჭაბუკის ხსოვნას და იმედს -
თუმცა ცხოვრება უკვე მიმქრალა -
მწამს უსათუოდ ვნახავ იმ ქალაქს,
სადაც პირველად მივხვდი და ვიგრძენ -
არაფერია მანძილის სიგრძე,
ამ სამყაროში ყველგან შინა ხარ,
გულის სიღრმეში თუკი ინახავ
შენი ცის ნამცეცს, როგორც ავგაროზს,
რომელიც გიღებს ფიქრის გალიას,
არ შეიძლება ფრენამ დაგლალოს.
თუ ფრთები მისი ნაჩუქარია!..

* * *

პორტში გრძელი გზით დაქანცულ ხომალდს
თითქოს ეპოვნოს ბინა ნაძები...
ახლა კი სული მოითქვას, დროა...
და, ქალებივით, შიშვლდებიან თითქოს ანძები...

* * *

შენ ხარ ამ ქვეყნად და ერთადერთი
შენით სულდგმულობს ჩემი იმედი,
რომ ახლა მაინც სიმართლეს მეტყვი -
მრჩება თუ არა ქვეყნად მცირედი
შვება ვინმესთვის, ან თუნდაც ხსოვნა,
არ გამაყოლო დარდი ფარული,
გთხოვ, შემისრულო ეს ბოლო თხოვნა -
იქნება მითხრა, ეგ სათნოება
სიკეთე იყო, თუ სიყვარული?..

* * *

ვიღაცა კლავიშს აწვალებს მწარედ,
მე შენზე ფიქრი მტანჯავს ჩვეული,
რა საშინელი ქარია გარეთ,
ნეტავ, რას ითხოვს ჩემგან წყველი?

რა მაბადია წუთების მეტი,
დრო, ერთ სანთელსაც რომ არ ეყოფა,

იქნებ ჰეროინა, რომ უარს ვეტენი,
გავუნაწილებ, როგორც მეგობარს...

* * *

(ფრაგმენტი დაუწერელი პოემიდან)

მე არ ვიცოდი გზების არჩევა,
ერთი გზა მქონდა შენსკენ სავალი,
ვგრძნობდი - არ იყო ეს გადარჩენა,
ნიშნავდა მხოლოდ ძებნას სამარის.

მომაქროლებდა ხალისი ბავშვის
და მეც ბავშვივით ვიყავ თამამი
და განთიადის ალისფერ ქარში
ვყიოდი, როგოც სარზე - მამალი.

თუმცა ყველასთვის მეტისმეტია,
რაც ყელში ტანჯვით ამომეტია,
ჩემ ამბავს სხვები მაინც გეტყვიან,
სხვისთვის ხომ ცრემლი წვიმის წვეთია!

გამოვიარე გზა ეკლიანი,
გამოვაღწიე მზეში ჩეროდან,
გულს მიხეთქავდა მტრობა კი არა,
შენ რომ არ გწამდა, რაც მე მჯეროდა.

ბოლოს მოვედი...იქნებ მოგესმა
შენ ბავშვურ ძილში შუბის ჯახანი
და გაგეღვიძა, ალბათ, როდესაც
მე უკვე მკვდარი ვიყავ რახანი...

* * *

დარჩენილნი ვართ თოვაში ორნი
და ქუჩას ლურჯად ანათებს ქარი,
შორიდან წყნარი ხმა ისმის, მგონი -
სამოთხის კედელს გაუჩნდა ბზარი.

არ მჯერა ცხადის და როგორც გიუი,
შენით,
შენ გამო
და შენთვის ვმღერი
და თანაც გული მისკდება შიშით -
არ გაქრეს უცებ ეს ყველაფერი...